სახალხო ფურცელი

№ 793 კვირა 12 თებერვალი 1917 წ. № 793

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.**

ტელეფონი 12—29

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ „სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 3 მ. 75 კ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, **სახალხო ფურცლის** რედაქცია, სასახლის ქუჩა, **№ 6. Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190.**

ივანე ანდრიას ძე პაპოვი, ნიკოლოზ რომანის ძე ლეჟავა მეუღლით და ხოფიო გიორგის ასული კნ. ჩერქეზიშვილისა მეუღლით, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 თებერვალს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და საყვარელი მეუღლე, მეორის ძვირფასი დეიდა და მესამის დაუვიწყარი მამიდა

გაიანე სიმონის ასული

პაპოვისა

გამოსვენება კვირას 12 თებერვალს დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან, მინკვიცევის ქუჩა № 22, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

კონსტანტინე გიორგის ძე თუროვი, მარიამ გიორგის ასული ბედიევისა და ელისაბედ გიორგის ასული კავსაძისა მეუღლითურთ ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 თებერვალს, ღამის 10 საათზე, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

გაიანე სიმონის ასული პაპოვისა

გამოსვენება დღეს, 12 თებერვალს, დილის 10 ს., საკუთარ ბინიდან, მინკვიცევის ქუჩა, № 22, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, წირვის შემდეგ დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

მეუღლე მართა გრიგოლის ასული, შვილები: გიორგი, გაბრიელ, ლადიკო, ალიოშა, აპოლონ და მარო, ძმები: ივანე, ბესუკი, ზოსიმე, და ნიკოლოზ სურგულაძეები, რძალი ნატაშა ხერგის ასული ოხრენკო და სიძე იასონ გიორგის ძე ჯორბენაძე გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ

მაქსიმე გაბრიელის ძის

სურგულაძის

გარდაცვალებას ქ. ტფილისში: ცხედარი 9 თებერვალს წასვენებულ იქმნა სოფელ გომარეთში, სადაც დაკრძალულ იქნება წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

ნესტორ ლუკას ძე შავდია და შვილები მისი: მიშიკო, ლენკო და ვანიკო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 თებერვალს, გარდაცვალების წლის თავზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი პირველის—საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლის და მეორეთა დაუვიწყარი დედის

ოლღა ივანეს ასული შავდიას

სულის მოსახსენებლად. ხოლო დღის პირველ საათზე გადახდილი იქნება მეორე პანაშვიდი და მოხდება ძეგლის კურთხევა განსვენებულის საფლავზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. 187

ალექსანდრე დავითის ძე ფორაქაშვილი შვილებით, იოსებ დავითის ძე ფორაქაშვილი ცოლით კონკორდია ნიკოლოზის ასულით და შვილებით, ეკლე დავითის ასული დაუქვიაშვილისა შვილებით, დავით ანტონის ძე დაუქვიაშვილი და იუდიტა ადამის ასული ფორაქაშვილისა შვილებით უცხადებენ ღრმა მადლობას ყველას, ვინც პატივი სცა ხსოვნას დაუვიწყარის

ანასტასია იოსების ასულის ფორაქაშვილისას

(თავად ჯავახიშვილის ასულისა)

როგორც პირადი დასწრებით, აგრეთვე სამძიმრის გამოცხადებით ტელეგრამებით და წერილით. 185

ქვრივი ანნა ნიკოლოზის ასული, დედა ანნა ბეკოს ასული და პელაგია და ძმები დავით, პეტრე, ილიკო და ბაგრატ კიზირიები უცხადებენ გულითად მადლობის, ვინც პირადათ, ტელეგრამებით ან წერილებით გაიზიარეს მათი ღრმა მწუხარება

იასონ ბესარიონის ძის კიზირიას

უეცრათ გარდაცვალების გამო. 186

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 12 თებერვალს, 1917 წელს.

რუსულ ენაზე გაიმართება

კონცერტი-კაბარე.

დასაწყისი საღამოს 9 ს. ოპერეტზე და კონცერტზე შესვლა უფასოა. სტუმრები საზოგადო წესით.

კვირას, 12 თებერვალს, დღის 12 ს., ტფ. გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა საერთო დამფუძნებელი კრება.

კრების საგანს შეადგენს განყოფილების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა სამის წლის ვადით.

კრებაზე გადამწყვეტი ხმა ექნება ყველას, ვისაც წარმოდგენილი აქვს 1917 წლის საწევრო გადასახადი და მიღებულია წევრად.

საწევრო გადასახადის წარმოდგენა შეიძლება კრების დღემდი წ.-კ. გ. ს. მთავარ-გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქუჩა № 3), ხოლო კრების დღეს—საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში. 1050

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 43.

(ახალ კლუბის შენობაში).

კვირას, 12 თებერვალს, 1917

საღამო

ვასო აბაშიძისა.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება:

1 **ძუნწი,** კომ. 2 მოქ.

2 **ხოსიას ღელე,** ვოდ. 1 მოქ. თარგ. ი. ზარდალიშვილისა.

3 **საკონცერტო განყოფილება**

მ. ა. ვოლფ-იზრაილის მონაწილეობით.

დასაწყისი საღ. 8-ნახ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1022

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის ქალთა სამკურნალოსი.

იღებს ქალებს ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე, კვირა დღის გარდა.

სურგულოვის ქუჩა, № 1.

ტელეფონი, № 16—87 9140

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო მეტეხის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ექიმი

ზ. გ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმმა

ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 28/31.

საექიმო კაბინეტი ექიმ

კ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქესო., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესავ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 კირპიჩნი ქუჩის შესახვევი 21.

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნა ქ. 18. 1391

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დროზე ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ხეხუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92. 368

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ქუთაისში

ექიმი

მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 105

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ტფილისი, 12 თებერვალი, 1917 წ.

წ. კ. საზოგადოების კრების გამო.

დღეს საადგილ-მამულო ბანკის შენობაში დანიშნულია დამფუძნებელი კრება წერა-კითხვის საზოგადოებ ს ტფილისის განყოფილებისა. კრების საგნებია: გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და ახალ წევრთა მიღება, წერა-კითხვის საზოგადოება ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ქართული საკულტურო დაწესებულებაა. მისი ბედ-იღბლით უშუალოდ დაინტერესებული უნდა იყვეს ყოველი შეგნებული ქართველი და ყოველგვარ საშუალებით ხელს უწყობდეს მის წინსვლა განვითარებას. მართლაც ქართველი ფართო მასსა უკვე დაინტერესდა ამ საზოგადოების მუშაობით და ამ უკანასკნელ ხანს ძლიერ ბლომად ეწერება წევრად. ამასვე მოწმობ პროვინციაში მრავალ განყოფილებათა დაარსება. აღსანიშნავია, სხვათა შორის, რომ ქ. შ. წ.-კ. ამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება არსდება ისეთ ადგილასაც კი, როგორიც ახლად დაპყრობილი აზრუმია.

საზოგადოების ასეთ ზრდასთან ერთად გართულდა მისი საქმეებიც. საჭირო შეიქმნა წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა და ტფილისის განყოფილების დაარსება. ამიერიდან ტფილისის წევრებს ცალკე გამგეობა და სარევიზიო კომისია ეყოლებათ, ხოლო ტფილისშივე იქნება საზოგადოების მთავარი გამგეობაც, რომელიც ახალის წესით აირჩევა; ცალკე განყოფილებათა წარმომადგენელთაყრილობის მიერ. ხოლო დღეს, ვიმეორებთ, ადგილობრივ განყოფილების გამგეობის არჩევნებია. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესწროს ამ დამფუძნებელ კრებას და აღასრულოს თავისი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის საკულტურო საქმის წინაშე. აქ, ამ საქმეში საჭირო არაა ჯგუფობრიობა, ვიწრო პარტიობა უეჭველად ამაზე მაღლა უნდა დავდგეთ ამ შემთხვევაში.. „თანამედროვე აზრში“ უკვე დაიბეჭდა მოწოდების მსგავსი წერილი, სადაც ლაპარაკობენ ვიღაც „მოწინააღმდეგეებზე, რომელნიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ თურმე ფართე მასსის თვითმოქმედების შესაბორკად“ და სხვ. წერილის ავტორი მოუწოდებს მუშებს „თავისი ვალი მოიხადონ ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ინტერესები, ამას გვიკარნახებს შექმნილი მდგომარეობა“. ასეთი მსჯელობა, რასაკვირველია, შეცდომაა. ფართო მასსას არც არავინ ებრძვის, არც არავინ გაურბის. განა ვის ემსახურება თვით წ. კ. საზოგადოება, თუ არა ფართო მასსას? ამიტომ ასეთი მსჯელობა უადგილოდ მიგვაჩნია. ეს პარტიული დროშის აფრიალება იქნება და საქმეს თუ ავნებს, თორემ არაფერს არგებს. იმედია საზოგადოების წევრები გვერდზე გადასდებენ ყოველგვარ ჯგუფობრიობას, დამშვიდებით და სრულის შეგნებით აღასრულებენ თავიანთ მოვალეობას არა ისე, როგორც ამას მოითხოვს რომელისამე ჯგუფის ინტერესი, არამედ ინტერესი თვით საზოგადოებისა და ქართველი ხალხისა.

ომის გარშემო

ომის დღიური

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მოქმედება ყველა ასპარეზზებით მიყუჩდა და თითქმის არსად აქტიურ ოპერაციებს არც ერთი მხარე არ აწარმოებს, საერთო მდგომარეობა მეტად რთული და გამოურკვეველია. მოპირდაპირეთა ზრახვანი და სამზადისი სქელი ბურუსით და დიდი საიდუმლოებით არის მოცული და რა გასაკვირველია, რომ ბოლო დროს სამხედრო სპეციალისტებსაც კი დავთრები დაებნათ და ზოგმა წინასწარმეტყველებას და ფანტაზიას მიჰყო ხელი, ზოგი კი უფერულ წერილებს სტამბავს, თითქოს ცდილობს ფორმალურად მაინც თავისი მოვალეობა აასრულონ. გაზ. „დენ“-ის სამხედრო თანამშრომელი დიმიტრიევი სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავს და ხსნის იმით, რომ საერთო სტრატეგიული გარემოება მეტად გამოურკვეველია და რაიმე უტყუარი ცნობები არ მოდის. მართალია დღეს ყველა მებრძოლი კერძოდ და საერთოდ მზადებაშია და რასაკვირველია ყოველღონეს ხმარობენ, რომ თავისი მზადება დაჰფარონ. მაგრამ მარტო ამით არ აიხსნება საერთო გამოურკვევლობა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ ამ ჟამად სტრატეგიამ თითქმის მთლად პოლიტიკას დაუთმო ადგილი. რთული პოლიტიკური ბრძოლა სწარმოებს და ამ ბრძოლით მებრძოლი მოპირდაპირენი ცდილობენ ახალი მოკავშირის შეძენას. ამით აიხსნება ის მეცადინეობა და ერთგვარი თითქმის ძალდატანება, რომელსაც ამერიკაზე ახდენენ მებრძოლნი. ამითვე აიხსნება გერმანიის მეცადინეობა, რათა სკანდინავიის სახელმწიფონი ძალით თუ ნებით მიიმხროს. მებრძოლნი თვითონ იმდენად მოიქანცნენ, რომ იძულებულნი არიან თავის დასახმარებლად ახალი ძალა ეძიონ.

ვე—გა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 9 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

რუმინიის ბრძოლის პირი. არტილერიის სროლის შემდეგ მოპირდაპირის მცირედოდ შეჯგუფებულმა რაზ-

მებმა იერიში მოიტანეს ჩვენ პოზიციაზე დორნა-ვატრას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაგრამ სროლით შევაჩერეთ ჩვენი თხრილებიდან 300 ნაბიჯის წინ. დაღამებისას მოპირდაპირე თავის პოზიციაზე დაბრუნდა. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლაა და ბრაილოვის ჩრდილოეთით ჩვენი მზვერავები მარჯვედ თარეშობენ.

კავკასიის ბრძოლის პირი. სროლა და მოწინავე რაზმების შეტაკებაა.

პეტროგრადი, 10 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. არტილერიის ერთი საათის სროლის შემდეგ გერმანელების ორმა ბატალიონმა სამჯერ იერიში მოიტანა ჩვენი პოზიციის ნაწილზე სოფ. ზვიჟენთან, ზლოჩევის 20 ვერსის აღმოსავლეთით და ჩვენს თხრილებში შემოიჭრნენ, მაგრამ მსროლელთა კონტრიერიშით უკუვაქციეთ თავის თხრილებში.

რუმინიისა და კავკასიის ბრძოლის პირი. სროლა და წვრილი რაზმების შეტაკებაა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი, 8 თებერვალი. ცნობა საღამოთი. ორივე მხრით არტილერია მოქმედობდა მენილის მაღლობის რაიონში და მაასის მარჯვენა ნაპირით კარიერის ტყის და ბეზანვოს მიმართულებით. ჩვენმა სროლამ ცეცხლი გაუჩინა მოპირდაპირეს პოზიციაზე. გრანშენის ტყის დასავლეთის პირით, ლაშამბრეტის ფერმის რაიონში მოპირდაპირის უეცრივი იერიში სროლით მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის პირით დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 9 თებერვალი. ცნობა დღისით. მთელი ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ჩვენმა არტილერიამ სროლით გაფანტა მოპირდაპირის რაზმი, რომელიც მაასის მარცხენა ნაპირით ბეტანკურიდან გამოდიოდა.

პარიზი, 9 თებერვალი. ცნობა საღამოთი. ნიუპორტის ჩრდილო-აღმოსავლეთით როდეპირთან გერმანელების მზვერავები ჩვენ თხრილებთან დაახლოვებას შეეცადნენ, მაგრამ სროლით უკუვაქციეთ. მაასის მარჯვენა ნაპირით არტილერიის ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ბრძოლის პირით თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

ლონდონი, 10 თებერვალი. ცნობა 9 თებერვალს საღამოთი. დღეს დილით ვემეილის აღმოსავლეთით და ნევშაპელის სამხრეთით მარჯვედ მოვიგერიეთ გერმანელების იერიში ჩვენს თხრილებზე, ზარალი მივაყენეთ და ტყვეები წავართვით. არტილერიის ჩვეულებრივი სროლა მთელი ბრძოლის პირით სწარმოებს; უფრო მკაცრია სროლა სომას ჩრდილოეთით და იპრის სამხრეთით.

დაღუპული გემები.

პარიზი, 8 თებერვალი. საღამოს 7 საათზე გამოაქვეყნეს დაღუპულ გემთა სია: 6 თებერვალს ჩაძირულა ინგლისის გემი „კორსოექსარადოკ"-ი 3242 ტონა წყალტევისა, ორი მეთევზეთა გემი ერთი—989 და მეორე 2979 ტონი წყალტევისი; 7 თებერვალს ჩაძირულა ნორვეგიის იალქნიანი გემი „ფილისოფაფტანი"-ი—2965 წყალტევისა და 8 თებერვალს ნორვეგიისვე გემი „ტუკატი"-ი 1452 წყალტევისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამერიკა და გერმანია მორიგდებიან.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ."-ის ატყობინებენ: „ჩიკაგო დეილი ნიუს"-ის ბერლინელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ მიუხედავად ამერიკის ელჩის ჯერარდის ბერლინიდან წასვლისა, თანდათან მტკიცდება იმედი, რომ შეერთებულ შტატებსა და გერმანიას შორის მომხდარი კონფლიქტი მორიგებით დამთავრდება. საქმე მხოლოდ გვიანდება მით, რომ პირდაპირი მოლაპარაკების მაგიერ ორივე მთავრობა იძულებულია შვეიცარიის მთავრობის შუამავლობას მიმართოს. გარეშე საქმეთა მინისტრს ციმერმანს ამერიკის სააგენტოს კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ გემ „იაროუდალზე" დატყვევებულ 7 ამერიკელ მეზღვაურს არ გავანთავისუფლებთ, ვიდრე ამერიკაში დაკავებულ გერმანიის გემთა მეზღვაურების ბედს არ გავიგებთო.

კაიზერის ახალი განცხადება.

ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ვენაში ყოფნის დროს კაიზერს უსაუბრია ცნობილ ავსტრიელ პოეტთან მიულერთან და უთქვამს: სამართალი და სამართლიანობა ჩვენს მხარესაა და ჩვენს მოპირდაპირეთ კი ომის დაწყებიდან მოკლულ ერცჰერცოგის აჩრდილი სდევნით. ყურადღება მიაქციეთ ნეიტრალურ სახელმწიფოთა პასუხს ვილსონის მიმართ, მეტადრე შვეციის პასუხს, რომელიც ისტორიულ დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს. ნეიტრალური სახელმწიფონი ანგარიშს უწევენ ჩვენ ძლიერებას. მაგრამ ძლიერება არ უარჰყოფს ზავის შესაძლებლობას. ეს პირველია, რომ პატარა ერების ნებისყოფა ინგლის-საქსონელების რასის წინააღმდეგი გახდა. ნაპოლეონის კანტინენტალური სისტემა, რომელიც უწინ ფანტომი იყო, ეხლა სინამდვილედ იქცა და ისეთს ზიანს მიაყენებს ინგლისს, როგორიც არასოდეს შემთხვევია,

გერმანიის ხარჯი ომისათვის.

გერმანიაში განზრახულია გარდა ახალი გადასახადების შემოღებისა, რეიხსტაგს მოეთხოვოს 15 მილიარდის გადადება ომისათვის. აქამდის ომის წარმოებისათვის რეიხსტაგს გადადებული აქვს 64 მილიარდი მარკა. ამ რიცხვში სამხედრო სესხის საშუალებით ნაშოვნია 47 მილიარდი,

ამერიკელების პესიმიზმი.

ლონდონის გაზეთებს ვაშინგტონიდან ატყობინებენ, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ იმედი დაკარგა, რომ ომს თავიდან აიცილებს. ამერიკის გემის „ლაიმან ლაასის" დაღუპვამ მართალია საქმე გაართულა, მაგრამ ამ ფაქტს მაინც ომის საბაბად არ ჩასთვლიან.

ნიუ-იორკიდან ლონდონს ატყობინებენ: ვაშინგტონში მთავრობის წევრებს აფიქრიანებს მექსიკაში და კუნძულ კუბაზე ბოლო დროს მომხდარი ამბები. მექსიკაში გერმანიის აგენტები დიდს აგიტაციას ეწევიან შეერთებულ შტატების წინააღმდეგ. მექსიკანელი გენერალი ვილა ამჟამად შეერთებულ შტატების საზღვართან ახლოს იმყოფება. პრეზიდენტი კარანცა ცხადათ ემხრობა გერმანოფილებს და მათი გავლენის ქვეშაა. („უტრო როსიი").

მოქალაქეთა მობილიზაცია გერმანიაში.

კოპენჰაგენიდან „რანეე უტროს" ატყობინებენ: „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" აღტაცებულია გერმანიაში განხორციელებულ მოქალაქეთა მობილიზაციის შედეგით. სხვათა შორის გაზეთი სწერს: იმის განხორციელებისათვის, რაც ჩვენთვის აუცილებელია, გვჭირია მარტისა და აპრილისათვის 8 მილიონი მოქალაქე,

გერმანელები და უკრაინის საკითხი.

ჟენევიდან „რან. უტრო"-ს ატყობინებენ: გერმანიამ თვითონ იკისრა უკრაინის საკითხის გადაწყვეტა და ავსტრია-უნგრეთს მოაშორა იგი. გერმანია ემყარება რუს ემიგრანტებს უკრაინელებს, რომელთაც დაარსეს „უკრაინის განთავისუფლების გალიციის კავშირი".

სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენცია.

„ტრიბუნ დე ჟენევ"-ის ცნობით მოკლე ხანში შეიკრიბება სოციალისტთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც გერმანელ სოციალისტთა ინიციატივით არის მოწვეული.

სავაჭრო გემების შეიარაღების საკითხი ამერიკაში.

„მორნინგ პოსტის" ცნობით სავაჭრო გემების შეიარაღების საკითხი გაურჩევია შეერთებულ შტატების მთავრობას და ამის წინააღმდეგი ყოფილა მთავრობის ორი წარმომადგენელი—ბაუერი და სამხედრო და საზღვაო სამინისტროების უფროსი გამგე დანიელსი, რომელთა აზრით სავაჭრო გემების შეიარაღება პირდაპირ საბაბს მისცემს გერმანიის წყალქვეშა ნავებს თავდასხმისათვის. ვილსონი [illegible] შეიარაღებისა და ამიტომ ფიქრობენ, რომ საკითხსაც სწორედ ასე გადასწყვეტს.

გერმანელები ამერიკაში.

რომიდან „რანეე უტროს" ატყობინებენ: ამერიკელების წრეებში ლაპარაკობენ, რომ გერმანიის ელჩის ბერნსტორფის წასვლის შემდეგ გერმანიის აგენტები მაინც ვაშინგტონში დარჩებიან, რათა სხვა და სხვაგვარი შეთქმულობა მოაწყონ, რისთვისაც ნეიტრალისტ გერმანელებსა და ამერიკელ პაციფისტების შორის დიდძალი ფულია შეგროვილი. ცნობილ მილიარდერს, რუსოფობს შიფს, როგორც გერმანიის ფინანსიურ აგენტს, უკანასკნელ თვეებში რამდენიმე მილიონი მიუღია ნეიტრალიტეტის პროპაგანდისათვის.

ომი მოსალოდნელი არ არის ამერიკისა და გერმანიის შორის.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ინგლისურ გაზეთების აზრით ამერიკასა და გერმანიის შორის ომი მოსალოდნელი არ არის. „მორნინგ პოსტ"-ი სწერს: სამი გემის დაღუპვა და მეზღვაურების დატყვევება უკვე სამი საბაბია ომისათვის, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა ყურიც არ გაიბერტყეს. რაღას ელის გადაჭარბებულ მოთმინებით აღჭურვილი რესპუბლიკა?

რამდენი ჯარის გამოყვანა შეუძლია პოლონეთს?

პოლონელ სოციალისტის ფილიპოვიჩის გამოანგარიშებით „რუსეთის პოლონეთს შეუძლია 1045000 ჯარი გამოიყვანოს.

თავადი ადამ ჩარტორიჟსკი.

ვარშავაში მოსულა პოლონელი წარჩინებული მაგნატი თავადი ადამ ჩარტორიჟსკი. ამბობენ მაღალ თანამდებობას მიიღებსო. ჩარტორიჟსკი შვილისშვილია საფრანგეთის ყოფილ მეფის ლუი ფილიპესი.

დასავლეთის ბრძოლის პირი.

პარიზიდან იუწყებიან: გერმანელები დიდს ჯარს აგროვებენ პარიზის ახლობელ სუასონის რაიონში. ჰფიქრობენ, გერმანელები კვლავ პარიზზე გრანდიოზულ შეტევას დაიწყებენო.

წყალქვეშ ბრძოლა.

ლონდონიდან იუწყებიან: გერმანიის წყალქვეშა ნავების უფროსებმა ბრძანება მიიღეს, თუ ამერიკის გემს ჩასძირავთ, ხალხი გადაარჩინეთო.

ბელგიაში.

ლონდონიდანვე იუწყებიან, რომ გერმანელები ბელგიაში დიდს სამხედრო მზადებაში არიან. ამის გამო ექვსი თვით ჩაჰკეტეს ჰოლანდიის საზღვარი.

ახალი ამბავი

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** ტფილისის განყოფილების წევრთა საერთო დამფუძნებელი კრება გაიმართება დღეს, 12 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ტფ. სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის დარბაზში. კრების საგანს შეადგენს განყოფილების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამის წლის ვადით. კრებაზე გადამწყვეტი ხმა ექნება ყველას, ვისაც წარმოდგენილი აქვს 1917 წლის საწევრო გადასახადი და მიღებულია წევრად.

◆ **საზოგ. „კახეთი"-ს კრების** მოკლე ანგარიშში, რომელიც „სახალხო ფურცლის" უკანასკნელ ნომერში იყო მოთავსებული გამოტოვებულია ორი შემდეგი ცნობა. კრების დასაწყისშივე მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ გაზეთებში მოთავსებული „მუშა-მოსამსახურეთა კომისიის" წერილების თავში, სადაც გამგეობის გასამრჯელოზეა ლაპარაკი, ბევრმა ისე არ გაიგო, როგორც საჭირო იყო შეიძლება ამის მიზეზი უხერხული რედაქციაც იყო; ჩვენ გვინდოდა მხოლოდ იმის თქმა რომ მთელ გამგეობაზე და არა თვითოეულ წევრებზე 1915—16 წ. დაიხარჯა 57 პროცენტით მეტი ვიდრე 1914—15 წელს და მთელ მოსამსახურეებზე კი 1915—16 წ. დაიხარჯა მხოლოდ 37 პროცენტით მეტი 1914—15 წელთან შედარებით.

ერთ მთავარ მიზეზად ჩამოვარდნილ უთანხმოებისა ის იყო, რომ გამგეობამ ძალიან იწყინა მუშა-მოსამსახურეთა დაახლოვება, რის შესახებაც დადგენილებაც გამოიტანა: რაკი მუშა-მოსამსახურენი შეერთდნენ, ჩვენც საბუთი გვაქვს პირობებშიც გავათანაბროთო, ამაზე აშენდა მთელი დავიდარაბა. მუშა-მოსამსახურეებმა სთხოვეს კრებას: მიაჩნია თუ არა სასურველად მასაც მოსამსახურეების მუშებთან დაახლოვება, რაზედაც გამოსთქვა თავისი აზრი, ძალიან სასურველიაო.

◆ **კვირას 12 თებერვალს** ხარფუხის საზოგადო კლუბში რუს არტისტთა მიერ ბ. ბაუბეგის ხელმძღვანელობით გაიმართება კონცერტი—კაბარე კონცერტზე შესვლა უფასოა.

◆ **მესამე შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ** (მეპურეებმა) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას შესწირა 50 მან.

◆ **ქართველ მოღვაწეთა პანთეონის** სასარგებლოდ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებამ 50 მ., მიიღო, რომელიც შეუკრებია ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებას.

◆ **კავკ. ერობის გარშემო.** საუწყებათა-შორისო თათბირის მეორე სხდომაზე მილიუტინის თავმჯდომარეობით პროექტის ძირითადი დებულების განხილვა უკვე დაასრულეს. თათბირმა მოიწონა აზრი, მიენიჭოს ნამესტნიკს უფლება დაჰყოს განყოფილებად იმ მოსაზრებით, რათა უმცირესობის ინტერესები არ იქნეს დაჩაგრული. მოწონებულ იქმნა აგრედვე აზრი განსაკუთრებულ შემთხვევაში საერობო კრებებზე ადგილობრივ ენებზე ლაპარაკის ნების დართვის შესახებ, იმ პირობით; რომ ნათქვამი დაუყოვნებლივ გადათარგმნილ იქნას რუსულად. შეწყნარებულ იქმნა ადგილობრივ ენაზე თხოვნისა და საჩივრის დაწერა.

◆ **„ნაკადული"** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვანთათვის (№ 2) და მოზრდილთათვის (№ 1).

◆ **ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის** წევრთა კრება, რომელიც 8 თებერვალს დაიწყო, 10 თებერვალს დასრულდა. მორიგ საკითხთა განხილვის შემდეგ კრებამ კავშირის საქმეთა გამგებად აირჩია: მალაქია ტოროშელიძე, ევგენი დარჩია და კ. ი. შემიტოვი.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობა მომავალ საშაბათის კრებაზე საზოგადოების მდივნის თანაშემწეს აირჩევს.

◆ **სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების** გამგეობა უკვე შეუდგა გუბერნატორის მიერ მიღებულ მაჭრის განაწილებას მასწავლებელთა შორის. თვითეულ რაიონს ეგზავნება თითო ტომარა ($5^{1}/_{2}$ ფუთი).

◆ **ორი ტუსაღის გაქცევა.** 6 თებერვალს დილით ათ საათზე, ტფილისის სატუსაღოდან გაიქცა ორი ტუსაღი შაპოვალოვი და კუსიკიანცი. ისინი დაიჭირა სატუსაღო სახლის დარაჯმა დოროთე შარაშიძემ.

◆ **ვასო აბაშიძის წარმოდგენა.** დღეს, ახალ კლუბში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის ვასო აბაშიძის წარმოდგენა.

◆ **ახალი კავშირი.** 10 თებერვალს ტფილისის პირველ-შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის სადგომში შესდგა საკრედიტო კოოპერატივების რწმუნებულთა კრება. დაესწრნენ გორისა, ტფილისისა, ბორჩალოსი და დუშეთის მაზრის კოოპერატივების წარმომადგენელნი. კრებამ დაადგინა, დაარსდეს ტფილისის საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირი. შესაფერი შუამდგომლობა ეხლავე უნდა აღიძრას ფინანსთა მინისტრების წინაშე.

შეცდომის გასწორება

წარსულ კვირის დამატებაში **დარია ახვლედიანის** ლექსში შეცდომა შეპარული: პირველი კუპლეტის მეოთხე სტრიქონი სულ გამოტოვებულია: „**გაჰქრება შვება სიყვარულისა**".

ჩვენი გაზეთის № 792-ში დაბეჭდილ **ს. ფაშალიშვილის** ლექსის მე-21 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია „და გამიწვდა ჩამომჭკნარ ხელებს" უნდა იყოს: „**და გამოვიწვდი ჩამომჭკნარ ხელებს**".

სოფლად და ქალაქად

თიანეთი

◆ 2 თებერვალს ალექსანდრე (სამა) სისაური პატარა ბიჭით და ურმით წასულიყო თავის ტყეში ახიეტის ახლო, სადაც მისი ხიზანი ოსები სცხოვრობენ, ხის მასალის მოსატანად იგი ბოროტ მომქმედთ ვინტოვკის ორი ტყვიით მოეკლათ, წაეღოთ რევოლვერი, ნაბადი და ცოტა-ოდენი ფული. ბიჭი შეშინებული გაქცეულიყო. მკვლელი ვერ იპოვნეს და მკვლელობაც ჯერ-ჯერობით გამოუკვლეველია.

თელავი

◆ წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობამ მიჰმართა

საქართველოს საკითხი

(თვალის გადავლებით)

(შემდეგი *)

ბინდის გვარია სოფელი.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, თუ რა დიდი, განუზომელი იყო ქართველობის იმედები, რას გამოელოდნენ მაშინდელი ჩვენი პოლიტიკოსები და მეფენი რუსეთთან დაახლოებისაგან.

აჯანყებანი.

1804 წელს აჯანყდა მთიულეთი. მათ უარი უთხრეს რუსებს ჯარის-კაცების მიცემისა, მთიულები სცდილობდნენ დანარჩენ საქართველოსთან კავშირის გაბმას, აგრეთვე მოლაპარაკება ჰქონდათ ოსებთან. მათ ურთიერთობა ჰქონდათ იმერეთის მეფე სოლომონთან გაქცეულ ქართლ-კახეთის ბატონიშვილებ იულონსა და ფარნაოზთან. მთავრობამ რომ წინადადება მისცა დაგვმორჩილდითო—მათ უარი უთხრეს და გადასწყვიტეს—არც ერთი რუსი არ გავაჭაჭანოთ ჩვენშიო[9]. მთიულებმა შეჰკრეს საქართველოს სამხედრო გზა, თავს დაესხნენ ყაზახთა პოსტს კაიშაურში და მთლად ამოსწყვიტეს. პირველ ხანებში თითქოს რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს კიდევაც მეამბოხეებმა, მაგრამ ბოლოს რეგულიარმა ჯარმა სძლია. ფარნაოზი და იულონი შეიპყრეს და 1805 წელს რუსეთში გაჰგზავნეს. ხოლო აჯანყების სამოც-და-ათი მოთავე დაიჭირეს და ცივ ციმბირის გზა ატკეპნინეს.[10]

ამის შემდეგაც ქართველობა არ დაშოშმინებულა, არ დაუყრია იარაღი და ყოველთვის იცავდა თავის სახლსა და კარსა. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი იყო კახეთის აჯანყება 1812 წლისა. ამ დროს მეფეც კი აირჩიეს,—ბატონიშვილი გრიგოლი. აჯანყებას ხელს უწყობდა ბატონიშვილი ალექსანდრე, შესანიშნავი და ენერგიანი პიროვნება. იგი ცეცხლისებრ აღგზნებულ პროკლამაციებით მოუწოდებდა ქართველობას რუსების წინააღმდეგ და მათ განსადევნად ხან ერთ სახელმწიფოს მიჰმართავდა შველისათვის, ხან მეორეს. იმ ჟამად ალექსანდრე სპარსეთის საზღვარზე იყო და სპარსეთის საშუალებით სცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ბევრჯერ იყო აგრეთვე დაღისტანში და საერთოდ მთელ ხალხს მოუწოდებდა აჯანყებისათვის. ალექსანდრე მიმართავს აჯანყებულებს: „აწ ძმანო, თქვენ უმეტესს მაგიერი აღასრულეთ, რომელ იმის (ერეკლეს) დაცემული ოჯახი ერთის სარწმუნოების მტერთა და თესლთაგან სვეტნი ძლიერებისა შეიქმენით და მიზეზნი ჩვენის სამეფოს სახლის აღდგენისაო". მეორეგან ალექსადრე ხალხს ეუბნება: „რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მათში არ მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან, ერთგულისა და ორგულის მაგათი მისაგებელი ციმბირიაო".[11]

აჯანყებულმა კახეთმა აქეთ იქით შიკრიბები დაჰგზავნეს და აპიოებდნენ სხვა მოსაზღვრე ერების მიმხრობას. აღელვება მოედო დაღისტანსაც, შირვანის შაჰი მუსტაფე რაღაცას აპირებდა, ყური სცქვიტეს ბორჩალოს, შამშადილის და ყაზახის თათრებმა. აჯანყების ცეცხლი მოედო ქართლის ნაწილსაც. საქართველოს მაშინდელი მთავარმართებელი მეფეს ატყობინებდა: ეჭვი არაა აქ ფართო და დიდი შეთქმულებაა, რომლის მეოხებით რუსეთს მთელი კავკასია უნდა წაერთვასო. როდესაც მარკ. პაულიჩმა ხალხს მიჰმართა: რა მოგივიდათ, რად ჰღალატობთ ქრისტე ღმერთს და მეფესაო, აჯანყებულებმა უპასუხეს: „გაუწყებთ, რომ ჩვენ ბარის და მთის კახელები წერაში გამოცდილები არა ვართ და თქვენი მოწერილი ვერ გავიგია. გიცხადებთ, რომ არც ქრისტეზე აგვილია ხელი, არც ხელმწიფისათვის გვიღალატნია, არც ფიცი გაგვიტეხნია; თქვენ მოგვეცით საბაბი. რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით იყო გამოცხადებული (ე. ი. მხოლოდ პროტექტორატი), თქვენ არ აასრულეთ, თქვენ მოსდექით და ბრალიან - უბრალოს აღრჩობდით. მაგრამ ამასაც ვითმენდით, რაკი ფიცი მივეცით ხელმწიფეს. თქვენ კი რაც გვქონდა, იმას ეგზეკუციებით და ხიშტებით გვართმევდით, გვიხოცავდით ცოლ-შვილს, რაც პური გვქონდა წაიღეთ. შიმშილით გვწყვეტდით და გვეუბნებოდით. ბალახი სძოვეთო" და სხვა შემდეგ უფრო მკაცრად და პირდაპირ აღიარეს აჯანყებულებმა: „დარწმუნებული იყავით, არამც თუ ჩვენ ვართ თქვენი წინააღმდეგნი, ყველა ჩვენი ძმები მთელი კახეთი და ქართლი თქვენი მხეცობის წინააღმდეგ აღვსდექით.

---

*) იხ. „სახალხო ფურც." № 792.

[9] იგივე ზ. ავალიშვილი—252 გვ.

[10] აქაც და ქვემოდაც ვსარგებლობ ივ. ჯავახიშვილის წიგნს: „Полит. и соціальн. движ. въ Грузіи въ XIX в."

[11] ა. ფრონელი: „კახეთის აჯანყება" გვ. 67—68 და 79 გვ.

№ 794 სამშაბათი 14

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტი
30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე
განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წ
უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადების
დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღი
25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარ
დება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და

ყოფილ ქართულ სკოლების მეთვალყურე აწ თელავის დაბინავებულ შემ. გამხ. ამხანაგობის თავმჯდომარე ბ-ნ გ. ბურჭულაძეს მახლობელი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს თელავს ქართულ სკოლას.

ბ-ნმა ბურჭულაძემ თანხმობა გამოუცხადა გამგეობას.

ხონი

◆ კვირას, 29 იანვარს, ადგილობრივ საზოგადო თეატრის დარბაზში ქ-ნ კატო მიქელაძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე „ფემინისტები და ანტიფემინისტები“. ლექციას დაესწრო უმთავრესად მოსწავლე—ახალგაზრდობა—ხოლო რაც შეეხება ქალებს, თითქმი არავინ არ დასწრებია, მიუხედავად იმისა, რომ თვით ლექციის შინაარსი ეხებოდა ქალთა ემანსიპაციის საკითხს.

მთავრობის მიმართვა მუშებისადმი.

დეპეშა.

პეტროგრადი. ოფიციალურად. პეტროგრადის მუშებო! ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნები მუშებს მოუწოდებენ—გაიფიცეთ სათათბიროს შეკრების დღეს, ერთად წადით თავრიდის სასახლისაკენ და საპოლიტიკო მოთხოვნილება წარუდგინეთო. სამშობლოს ნამდვილი შვილი ამას არ იზამს. ცბიერი, ბოროტი მტერი შემოიჭრა რუსეთის საზღვრებში, გაანადგურა პოლონეთი და დასავლეთი მხარე. ჩვენმა გმირმა ჯარმა თავის მკერდით შეაჩერა მტრის იერიში. დიდი ბრძოლის შემდეგ მტერი დაუძლურებულია—შეიძლება სულ ცოტა იყოს საჭირო საბოლოო გამარჯვებისთვის. გახსოვდეთ, რომ თუ შინ ერთსულოვნება, თანხმობა არაა—ყველაფერი ამაო იქნება. ყოველი გაფიცვა შეამცირებს იარაღსა და ჯარს ყუმბარებს მოაკლებს. ვინც ეხლა გაიფიცება, სამშობლოს ჰღალატობს და თავის ძმებს გასცემს. უმრავლესობა თქვენგანი სამხედრო სამსახურში გასაწვევია, თქვენ აქ დატოვებული ხართ, რათა ჯარს დაეხმაროთ, გაფიცვით კი ომს გაახანგრძლივებთ. ნუ ჰღალატობთ თქვენს ძმებს. პეტროგრადის მუშებო! მივმართავ თქვენს გონიერებას, თქვენს სინიდისს. ხოლო ვინც ჩემს სიტყვას არ დაიჯერებს, მოვაგონებ, რომ პეტროგრადში სამხედრო წესებია და ყოველი უკანონობა იარაღით შეიმუსრება.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ხაბალოვი, 1917 წლის 8 თებერვალი.

ახალ მოსულის შენიშვნები

2. სახვალიო საკითხისთვის.

რაი არს ჭეშმარიტება? ჰკითხა პილატემ იუდაელთა სამსჯავროში თავმოყრილ მსაჯულთა და მწიგნობართა და პასუხისათვის არც კი დაუცდია, ისე ადგა და სამსჯავროს დარბაზი დასტოვა.

პილატე ალბად შორს განმჭვრეტელი კაცი უნდა ყოფილიყო.

პრობლემა წამოაყენა და პასუხსაც არ დაუცადა, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ თვით იმ ინსტიტუტში, სადაც მსაჯულთა და ჭეშმარიტების, სამართლიანობის მღაღადებელთ თავი მოეყარათ იქაც კი ვერ მიიღებდა გარკვეულსა და თანაბარ პასუხს. იცოდა, რომ ჭეშმარიტებას, სამართლიანობას ქართული ყურუშივით ორმაგი პირი აქვს.

მალე მესამე წელი შესრულდება რაც სერაიევოში დაკვესილი ნაპერწკალი ცეცხლის ოკეანედ ქცეული უშველებელ კოცონად ანთია ადამიანობის გულზე. სამართლიანობა, ცივილიზაცია და კულტურა აი სამი მაგიური სიტყვა, რომელიც მოტოთ გაუხდიათ ისეთ ღიდსა და მძლავრ სახელმწიფოებს როგორიცაა ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი—და გერმანია.

პირველი სამი სახელმწიფო ამასაც არ სჯერდებიან. მათ **„ხმალი იშიშვლეს ძლიერ სახელმწიფოთაგან დათრგუნვილ პატარა ერების გათელილ უფლებათა ალსადგენად“.**

როგორც რესპუბლიკანური საფრანგეთი ისე კინგ გეორგ და მონარქისტული რუსეთი აცხადებენ რომ პატარა ერების გამოსასარჩლებლად უხმეს მათ თავიანთ სპათა—მცირე რიცხვოვან მაგრამ მაღალ კულტუროსან ერის ბელგიელების ნეიტრალობის დამრღვევთა წინააღმდეგ.

დღეს არავის ახსოვს რაც ინდოეთში, მაროკოში ხდება და სხვ.

უფრო ნათლად რომ ვსთქვათ თვით ძლიერი ამა ქვეყნისანი ესარჩლებიან ისეთ იდეებს, რომელთათვის მათ ორიოდე თვის წინად გილიოტინა კატორღა და ციმბირი ჰქონდათ განმზადებული.

გარნა ტყუილა უთქვამს ბრძენს: ისტორიის ფილოსოფია საგიჟეთიაო?

ერთხმად აცხადებენ დღეს: ჩვენ ვიბრძვით სუსტ, უფლება აყრილ, დამონებულ ერების ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღსადგენადო!

დღეს რომ ჩვენი ალექსანდრე ბატონიშვილი, 1832 წლის მეამბოხე პოლონელთა ბელადი კოსტიუშკო და 1848 წლის ინდოელთა, ან მაროკოანელთა აჯანყებების მოთავენი ცოცხალი ყოფილიყვნენ, მათ ალბად დანაშაულებად არ ჩაეთვლებოდა თავიანთ ერის შელახულ უფლებათათვის თავგანწირული ბრძოლა! დღეს ყველა თანაგრძნობით ეპყრობა სამშობლოდან გაძევებულ უტახტო გვირგვინოსანთ: ბელგიისას, სერბიისას და მონტენეგროსი (ჩრნოგორია).

ზერელეთ მოაზროვნეთათვის ხომ ამ სამ პატარა ერის ქომაგად დარაზმულან უძლიერესნი და უდიდესნი ხელმწიფებანი?..

ძველ ჰელინებს სწამდათ რომ ადამიანთა და ღმერთთა, სუსტთა და ძლიერთა ცოდვა ბრალის განმკითხველად ამ ქვეყნად უნდა მოსულიყო ღმერთა-ღმერთი თემის, რომლის სამსჯავროს წინაშე ყველა თანაბრად მოიხრიდა ქედს, ყველა შესჩივლებდა თავის გულის ტკივილსა და დრტვინვას.

ასეთი მსაჯული რომ მოვიდეს მართლა, ჩვენ ქართველებმა პირველად უნდა წარვადგინოთ ჩვენი არზა-საჩივარი, რადგან ჩვენ უუბედურესი ერი ვართ—ქვეყანაზე მივიწყებული პატივაყრილი.

„ობოლი ერი გვიწოდა ერთმა უცხოელმა ეთნოგრაფმა. მე ვიტყოდი „უბედური ერი“.

მას შემდეგ რაც თვალი გაგვიხელია და სიბნელიდან სინათლისა და კულტურისაკენ ლტოლვა გვიწყია, მოსვენება არა გვქონია.

კაცობრიობის ისტორია, ამბობს ერთი ინგლისელი მეცნიერი, მატიანეა წამებისა და განუწყვეტელი ტანჯვისა; ეს კერძოდ ყოველ ერის ისტორიაზე ითქმის, მაგრამ როგორც კერძო პიროვნებათა შორის ზოგს მეტი და ზოგსა ნაკლები დოზა ხვდება უბედობისა, ისეა ერთა და ხალხთა ოჯახშიაც.

ჩვენ ქართველები როგორც იდეომურად ისე ეთნიურად მარტო ხელა ვიყავით. არასოდეს არავინ გვყოლია მოსარჩლე და მეგობარი.

არავის კერაზე არ მოგვითბია ხელი, ჩვენთვის არავის შეუშველებია ძმურად მკლავი როცა ისტორიის გზა ტკეცილზე წაგვიბორძიკებია წინააღმდეგ გამვლელი გამომვლელის წიხლი თუ ჩაუკრავს—მოყვარედ მოსულის, მკლავისაგანაც ბევრი მუჯლუგუნი გვახსოვს.

ჩვენი გვირგვინოსანნიც განლტოლვილან უგვირგვინოდ თავიანთ სამეფოდან. ჩვენი მიწა-მამულიც მიუციათ „გზად მიმავალთ“ ცეცხლისა და მახვილისათვის.

ჩვენი ნეიტრალობაც დაურღვევიათ, ჩვენი უფლებებიც არა ერთხელ გაუთელიათ, მაგრამ ჩვენი კვნესა კავკასიონის უღელტეხილს არ გასცილებია.

გარნა ჩვენ ბალკანეთის კოებაზე ნაკლები ღვაწლი მიგვიძღვის იმ ევროპიელ ერთა წინაშე, რომელნიც ასე თავგამოდებით ესარჩლებიან სერბიელთა და მონტენეგრელთ?

გარნა ჩვენ ნაკლები შემოქმედებითი ენერგია დაგვიხარჯავს თავის დროზე კავკასიის ველურ თემებში ცივილიზაციის სხივის შესატანად თუ ფრანგ და ინგლისელ ავსტრალიელ მისიონერთ იხსენიებენ ქრისტიანულ „კულტურ-ტრეგერებად“ ჩვენი სახელი რად დავიწყებიათ.

გარნა ის კულტურული საგანძური, რომელიც ჩვენ წინაპართ ჩვენთვისა და მასთან ერთად მთელი ადამიანებისათვის დაუტოვებიათ, ბალკანელ სლავიანელთა კულტურულ ავლა-დიდებას ჩამოუვარდება თავისი ღირებულებით? დღეს საერთაშორისო ალში ჩვენი პატარა სამშობლოც გახვეულია ნებსით და უნებლიედ.

ვინ მოსთვლის, რამდენი დაუტირალი დაგვრჩა ქამბიან ადგილებში და პოლონეთის მიწა-წყალზე! თუ დღემდის დიდ რუსეთის მოქალაქეებთან უფლებებით არ ვიყავით თანაბარი, უბედურობაში ხომ გავთანასწორდით.

ჩვენც ხომ სისხლიდან ვიცლებით, სხვის ცოდოთა გამოსასყიდად, სხვის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად!

გულუბრყვილო რაინდები და ჰკუა მოკლე პოლიტიკოსნი ვიყავით და ვართ დღესაცა. ისეთნი, როგორიც გუშინ და 5-დე საუკუნის წინად ვყოფილვართ.

პოლიტიკა ჩვენ არასოდეს გვემარჯვებოდა. ჩვენთვის პოლიტიკმ ხათრი-ჯანობა იყო მუდამ.

ჩვენთვის პოლიტიკურ ტრაქტატების თავზე გადახევა მოკითხვის ბარათის უკან დაბრუნებას უდრიდა. ჩვენი მინისტრები და მეფეები უფრო კაი მოშაირენი იყვნენ, ვიდრე დიპლომატები.

გულუბრყვილო რაინდები ვიყავით და ვართ, მაგრამ დღეს ერთი რამ აშკარაა: ის წყლულები, რომელიც სხვისი ტკივილების დასაამებლად გულს დაგვრჩენია, ალბად ჩვენ საკუთარ სხეულსა და ჩვენ საკუთარ ეროვნულ „მე“-ს გაგვახსენებს. თუ ჩვენ თავს, ჩვენ ეროვნულ უფლებებს ვადა-გასულ თამასუქებივით არ მივივიწყებთ ესეც კარგი იქნება.

მსოფლიოდ ომი ასე თუ ისე გათავდება.

მშვიდობიანობის კრებულზე ყველა ომში გახვეული დიდი თუ პატარა პოლიტიკური ერთეულები ხმას ალიმაღლებენ თავიანთ ზარალის ანაზღაურებინად და თავიანთ ინტერებს გამოამზეურებენ თავიანთ სატკივარს შესჩივლებენ იმ უფალს უფლებათას, იმ ღმერთს სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისას‘ რომელსაც ერთა და ხალხთა სინიდისი უნდა უწოდოთ. ჩვენი იქ ხმა არ მიგვიწვდება—რადგან სახელმწიფოებრივი ორგანო არ გაგვაჩნია.

ცხადია, სხვა არავინ გაგვიხსენებს. ჩვენ მაინც ნუ დავივიწყებთ იმის, რაიც შეიძლება სხვას არ გაახსენდეს. ჩვენ მაინც შევიგნოთ, რომ ჩვენი უფლებათა სფერო გვაქვს, ჩვენ უფლებათა კომპეტენცია გაგვაჩნია...

ახალი პერსპექტივები, ახალი პრობლემები და ჰორიზონტები გაიშლება მალე ჩვენს წინ. ჩვენც განახლება და მეტი სიფხიზლის გამოჩენა გვმართებს.

თვით უღრესს სასოწარკვეთის ჟამსაც უნდა გაახსენდეს ცოცხალ ერს ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვები: „შეუძლებელი მხოლოდ მშიშარას თავშია მიჩქმალულიო“.

ქ. გ—ია.

საკოოპერაციო კავშირების კონსტრუქცია.

2.

კოოპერატიულ კავშირების ფედერატიული ორგანიზაცია.

ფედერატიულ კონსტრუქციის შეტანა კოოპერაციაში ფატალისტურად აუცილებელია: თვით პირველი საკოოპერაციო ასოციაცია საბაბივე ატარებს ფედერალიზმს. ცენტრალიზმი კოოპერაციის აღორძინების მხოლოდ პირველ ხანაშია წარმოსადგენი. წევრები აშენებენ, აგებენ კოოპერაციას, მაგრამ ეს პირველი. ელემენტარული კავშირი უკვე მიკროკოსმის სახეს იღებს, თავის ტიპს. ლოღიკურად რომ განვავითაროთ ცენტრალიზმი მარტივ კოოპერაციის წევრად უნდა ჩაეწეროს ყველა მოქალაქე სახელმწიფოსი, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ერთი კოოპერატივი, ხალხი წევრი უნდა იყოს ერთ კოოპერატივის, რომელიც ადგილობრივ საჭიროებისათვის გახსნას ფილიალებს, მაღაზიებს და საქონლის გამნაწილებელ პუნქტებს, სადგურებს აარსებდეს. მაგრამ ისპანიაში სადაც ყველაზე ნაკლებია რიცხვით კოოპერაცია 1916 წლის დამლევს კოოპერატივთა რაოდენობა 400 აღემატებოდა, ხოლო გერმანიაში 30 ათას სჭარბობს სუსეთში—10 ათას. თვით ეს მოვლენა გვიმტკიცებს, რომ პირ-წმინდად კოოპერატიულ ცენტრალიზმის დაცვა და წარმოდგენა შეუძლებელია. 19 წელია რაც მოსკოვის მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირი დაარსდა, მას შემდეგ პირველი საკოოპერაციო კავშირი დაწესდა 1908 წელს, ასეთ სიღარიბისა და სიუძლურის პირობებში რასაკვირველია ვერავითარ ფედერაციაზე ვერ ვილაპარაკებდით. ყოველ რუსის კოოპერატორს წარმოდგენილი ქონდა, რომ ვეებერთელა რუსეთის ყოველი კოოპერატივი პირდაპირ ჩაეწერებოდა მოსკოვის კავშირში, კოოპერატივების თანხა. გამოცდილება გააძლიერდება და კოოპერატივის ყოველ მოთხოვნილებასაც კავშირი დააკმაყოფილებდა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ რუსეთის კოოპერაციის განვითარების პირველ ხანაში ასეთი წარმოდგენა ყოველ სიმართლეს მოკლებული იყო პირიქით, ულტრა-ცენტრალისტური მიმართულება მაშინ შეიძლება ერთად ერთი შესაძლებელი და საზრიანი ორგანიზაცია იყო, მაგრამ ცენტრალიზმი თუ კოოპერაციის აღორძინების პირველ ხანაში შესაძლებელი და წარმოსადგენია კოოპერატივების გამრავლებისა და საკოოპერაციო მოძრაობის გართულებისას ის აბსოლიუტურად შეუძლებელია. 1914—1915 წელში მოსკოვის კავშირი ამხანაგობებიდან ღებულობდა დღიურად საშუალოდ 35 შეკვეთის ბარათს, 1915 წელს კი საშუალოდ 175 ბარათს. თვითოეულ ბარათში 28 სახელის საქონელი იყო აღნუსხული. 1916 წელს მოსკოვის კავშირმა შეასრულა 30.000 შეკვეთა, გადაარჩია და ყუთებში მოაქცია 360 ათასი სხვა და სხვა ჯურის საქონელი. ცხადია, ასეთი მუშაობის გაგრძელება და შესრულება პირდაპირ შეუძლებელია. მოსკოვის კავშირიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და კოოპერატივების დაკმაყოფილებაზედაც ხელი აიღო. პირველად კავშირმა გადასწყვიტა ხელი აეღო ზოგიერთ საქონლის მოწოდებაზე, როგორც მაგალითად პაპიროსისა და საბაყლო საქონლის გაგზავნაზე. მაგრამ კავშირს არც ამან უშველა, კოოპერატივთა საერთო რიცხვის გამრავლებით გამრავლდა მოსკოვის კავშირის წევრებიც, 1915 წელში მათი რიცხვი 1,500 აღემატებოდა და ამდენადვე იზრდებოდა წევრთა მოთხოვნილებანი. ცენტრალისტური მიმართულება დამარცხდა იმ წუთში, როცა კავშირმა პირვანდელ ორგანიზაციით შემოერთებულ წევრებს უარი გამოუცხადა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. კოოპერატიულ ცხოვრების გაზრდით დაეცა კავშირის პირვანდელი განზრახვა, რაიცა არას დროს არ მოუვიდოდა კავშირს, რომ თავიდანვე ფედერატიულ წესებით ყოფილიყო აგებული. თანამედროვე გართულებულმა კოოპერატიულმა ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ ცენტრალიზმი ყოვლად მეუწყნარებელია კოოპერაციისათვის, რომ ცენტრალიზმს მხოლოდ მაშინ შეუძლიან სულის მოთქმა, როცა კოოპერატიული ცხოვრება სადა, მარტივი და უძლურია.

რაკი მოსკოვის კავშირმა ხელი აიღო წევრთა ზოგიერთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, ის შემდეგ კიდევ უფრო შორს წავიდა, საგანგებო ცირკულიარით მიმართა კოოპერატივებს, რომ კავშირი თვითოეულ კოოპერატივის ვერავითარ შეკვეთას ვეღ დააკმაყოფილებს და მხოლოდ ადგილობრივ კავშირებს გაუწევს ანგარიშს. ამხანაგობები შეერთდნენ და შეერთებული მოთხოვნილება წამოგვიყენოსო. საკოოპერაციო ცხოვრების გართულებამ მოსკოვის მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირი მიიყვანა ფედერალისტურ პრინციპის აღსარებამდე კოოპერატიულ ორგანიზაციის საქმეში.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ მოსკოვის კავშირის ხელმძღვაიელნიც გრძნობდნენ კოოპერაციაში ცენტრალიზმის შეუძლებლობას. „მომხმარებელთა კავშირში“ ვ. ზელგეიმი ჯერ კიდევ 1908 წელში სწერდა: „მოსკოვის ცენტრალური კავშირი მთელ რუსეთს ედაბა, მაგრამ ცხადია ყოველ საქონლით მათ ვერ დააკმაყოფილებს რომელიმე საზოგადოებას, მაგალითად პერმის, ბესარაბიის, ნოვგოროდის, მინისკის გუბერნიაში. სავსებით რომ გამოგვადგეს ძალა კოოპერატივების შეერთებისა მომხმარებელი ამხანაგობანი რაიონულ კავშირებში უნდა მოვაქციოთ“ (№ 3). ამასა სწერს ვ. ზელგეიმი რომელიც 1916 წლამდე რუსეთის კოოპერატორთა შორის ყველაზე დიდ ცენტრალისტად ირიცხებოდა. ცხადია, ცენტრალიზმისა და დიდ თანხებზე ლაპარაკი უფრო ადვილია თეორეტიულ აბსტრაქციაში, მაგრამ როგორც სინამდვილეს დაუახლოვდებით, კოოპერბტიულ მუშაობას დავიწყებთ, ცენტრალიზმისა და „დიდთანხების“ იდეოლოგია სრულებით მარცხდება.

1913 წელს მოსკოვის კავშირმა შეუძლებლად იცნო ცენტრალისტურად კოოპერბციაში მუშაობა, მაგრამ რა საფუძველზე უნდა მოწყობილიყო დეცენტრალიზმი? როცა ცენტრალიზმის დამარცხება. ვახასიათებთ საკოოპერაციო მოძრაობაში ეს სრულიად არ ნიშნავს ცენტრალიზმის აბსოლიუტურ გაკოტრებას და ფედერალიზმის აბსოლიუტურ გამარჯვებას. ასე ვსთქვათ ეგო-ცენტრალიზმი დამარცხდა რომელსაც ვერ წარმოედგინა დეზინტეგრალიზმი. მაგრამ კიდევ უფრო დამარცხდებოდა ც ცხოვრების წესსაც ვერ აიღებდა მარტო დეცენტრალაზმი უცენლრალიზმოთ. მოსკოვის კავშირი დეზენტრალიზმისაკენ ნაბიჯის გადადგმით ცენტრალიზმს კი არ უარყოფდა, დეცენტრალიზმის მადლსაც იყენებდა და ცენტრალიზმს ადნობდა დეცენტრალიზმს, ესე იგი ფედერალისტურ კონცეპციას იღებდა. მოსკოვის კავშირმა პრინციპიალურად მიიღო ფედერალიზმი, მაგრამ—როგორც მოგახსენეთ — ფედერმლიზმი თავის თავად დემოკრატიულ პრინციპის დამცველია, მისი შეგნება ხდება სახალხო ორგანიზაციების მოგვარებიდან და ქვევიდან, ძირითად კავშირების შექმნით უმაღლეს საფეხურების დამთავრებით მოსკოვის კავშირის გამოცემა—„მომხმარებელთა კავშირი (1916 წ. № 41) თავის მოწინავეში გვეუბნება, რომ თუ მოსკოვის კავშირმა დღემდე ვერ მიიღო კავშირთა კავშირის ხასიათი, ესე იგი ფედერალისტურ სტრუქტურის პრინციპები, ამაში ბრალი თვით ადგილობრივ ამხანაგობათ მიუძღვით, პირველ-ყოვლისა ისინი არიან მოვალენი მცირე რაიონის კოოპერატიული კავშირები შექმნან, რომ ცენტრალური კავშირის აზრი შესასრულებელი იქმნესო, რასაკვირველია, სხვანაირად ვერ აშენდება კავშირთა კავშირი. ფედერალიზმი თვით-მოქმედების და თვითმართველობის, ესე იგი ნამდვილი დემოკრატიული პრინციპია და ცხადია თუ მცირე მიდამოები და რაიონები ფედერალიზმის ამ ბუნებას ვერ შეისისხლხორცებენ მათი ფედერალისტური ნატვრაც ნატვრად დარჩება. საგულისხმიეროა, რომ მოსკოვის კავშირმა ვერ დაუცადა ადგილობრივ კავშირების თვით-მოქმედებას და თვითონ დაიწყო, შეეცადა ზევიდან მოეგვარებია საქმე. ცხოვრება, სინამდვილე აიძულებდა კავშირს ფედერაციისაკენ ნაბიჯი გადაედგა და ჩვენ ვხედავთ, რომ მოსკოვის კავშირმა შეჰქმნა სუროგატი, „პაროდია“ ფედერალიზმისა. მთელი რუსეთი დაჰყო 20 რაიონად და მოსკოვის კავშირის მართვა-გამგეობა ჩააბარა რაიონების რწმუნებულებს. ამ „რეფორმის“ შემდეგ მოსკოვის კავშირის ულტრა-ცენტრალიზმი გატეხილია, მაგრამ ნამდვილ ფედერალიზმამდე, ესე იგი კავშირთა კავშირის იდეოლოგიამდე კიდევ შორს იყო.

ხსენებულ რეფორმას დიდი პრინციპიალური ღირებულება ჰქონდა, ადგილობრივ ძალთა ხმა გაისმა რუსეთის დედა ქალაქში. მაგრამ ნაკლი იმაში გამოიხატა, რომ ადგილობრივ მოღვაწეთა ხმა უფრო მოსკოვში გამოიხატა ვიდრე სამშობლოში ადგილობრივად. ეს კი ფრიად უცნაურია. მოსკოვის კავშირი რაიონების შექმნით სარაიონო კავშირებს კი არ ქმნიდა, არამედ სარაიონო აგენტურებს, საწყობებს, განმანაწილებელ პუნქტებს. აგენტურამ და გამიაწილებელმა პუნქტმა იცის აღსრულება, მაგრამ მართველობა კი არა, გაგონება და არა შემოქმედება. კოოპერაცია კი მოხელეობის და გაგონების სამყარო კი არ არის, თაოსნობის და შემოქმედების სამეფოა. ამიტომ აგენტურის სისტემა თავიდანვე უდღეური, უსიცოცხლო და უაზრო გამოდგა. ცხოვრებაში გაირიყა ეგრედ წოდებული ადმინისტრატიული დეცენტრალიზმი, კოოპერაციამ და მოსკოვის კავშირმაც მალე შეიგრძნო სიყალბე თავისი ქმნილებისა, თვითონაც მალე დარწმუნდა ადმინისტრატიულ დეცენტრალიზმის სივაგლახეში და ისევ სხვა ფორმების ძიებას მიჰყო ხელი. რომ გადაავლებთ თვალს მოსკოვის კავშირის ბრწყინვალე განვითარებას, უბრალო თვალითაც დაინახავთ, რომ მისი ცხოვრება ნამდვილად მარტიროლოგს წარმოადგენს, რომლის წამება, ტანჯვა გამოწვეულია ყალბი საორგანიზაციო სტრუქტურით.

მოსკოვის კავშირმა შეჰქმნა „სარაიონო ცენტრები“, მაგრამ კოოპერატივების გამრავლებამ, კოოპერატიულ მოჰრაობის გართულებამ გააძლიერა აზრი, საჭიროება რაიონულ ორგანიზაციათა. ნამდვილი კავშირებიც თან და თან იქმნებიან, რომელნიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მოსკოვის კავშირის მიერ დაარსებულ ცენტრებს. კოოპერაცია იმდენად დემოკრატიული დაწესებულებაა, რომ მას არ შეუძლიან სრული ავტონომია, ესე იგი დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ ქონდეს მოპოებული, კოოპერაციაში თვითოეული წევრი თანასწორი, დამოუკიდებელი და თვითმომქმედია, ფედერაციაშიაც თვითოეულ ფედერატივს, მცირე კავშირს სულის მოთქმა არ შეუძლიან თავისუფლად დამოუკიდებელ მართველობის გარეშე. თუ კოოპერატივასათვის თვითმოქმედება საჭირო კიდევ უფრო საჭიროა იგი რამდენიმე კოოპერატივის კრებულისათვის. ევროპაში შემოღებულია არა თუ კავშირების თავისუფალი მოქმედება, თვითოეული კოოპერატივის გამგეობა შემოქმედია და გამგეობანიც წევრებშიაც ცდილობენ შემოქმედების გრძნობის გაღვიძებას და აარსებენ მრავალნაირ წევრთა კომისიებს თვითმოქმედების გასაჩაღებლად, რა თქმა უნდა ავტონომია და დამოუკიდებლობა, თავისუფლება და შემოქმედება არ ნიშნავს ანარქიას და უთავბოლობას, სხვა კოოპერატივის წინააღმდეგ წასვლას, მეტოქეობას და

თქვენ ველარ შეგირიგდებით, კმარა! აღარ მოვსტყუვდებითო“.

აჯანყებულებს, სხვათა შორის, იმედი ჰქონდათ აგრეთვე ნაპოლეონისა, რომელიც სწორედ მაშინ რუსეთს შემოჰსეოდა. მაგრამ ეს აჯანყებაც ვერ გადაიქცა მთელ საქართველოს ამბოხებად და რუსეთმა იგიც ჩააქრო, ხოლო დამნაშავენი სასტიკად დასაჯა..

1819 წელს აჯანყდა იმერეთი. გარეგანი მიზეზი აჯანყებისა იყო ეგზარხოსი ფეოფილაქტე, რომელმაც სახელი გაითქვა რუსიფიკატორობით. მან შემოიღო, სხვათა შორის, წესი, რომლის ძალითაც კვირა-უქმეების და სადღესასწაულო დღეების გარდა სიონის ტაძარში კიდევ სამჯერ ღვთისმსახურება რუსულად უნდა ყოფილიყო. იმერეთშიაც განაგრძო აღმოსავლეთს დაწყებული პოლიტიკა. მისი მეოხებით დააპატიმრეს და ფრიად უპატივცემლოდ მოეპყრნენ ორ მიტროპოლიტს—გელათისა და ქუთაისისას. ერთმა მათგანმა პროტესტი რომ განაცხადა—კონდახებით და ხიშტებით თავპირი ჩაუმტვრიეს, სცემეს და გასისხლიანებული შესვეს ცხენზე. მთელი იმერეთი აღელდა. 1819 წლის, რიონის პირად მოხდა კრება თავადების, აზნაურების, სამღვდელოების და რამდენისამე ათასი ხალხისა. კრებამ დაადგინა: გავსწყვიტოთ მთლად რუსები და საკუთარი მეფე ავირჩიოთო, დადგენილება დაწერეს, ბეჭედი დაჰკრეს და ხელი მოაწერეს. იქვე მიიღეს ფიცი. ამის შემდეგ აირჩიეს ჯარის უფროსები (ივ. ჯავახიშვილის ხსენებ. წიგნის 22—23 გვ.) დაიწყო აჯანყება. ეგზარხოსი ტფილისს გაიქცა. ექვსი თვის განმავლობაში ებრძოდა რუსეთი აჯანყებულებს. ბოლოს ჩააქრო ამბოხება: ათი კაცი ჩამოახრჩვეს, ბევრი დახოცეს, ხოლო მრავალი ციმბირს გადაასახლეს, ბევრ ურჩ თავად-აზნაურს მამული ჩამოართვეს და სახაზინოდ ჩარიცხეს...

ასეთი იყო ბედი ქართლისა.

კახეთის აჯანყება და შემდეგ იმერეთისა უკანასკნელი ამოკვნესა იყო მებრძოლ საქართველოსი

(შემდეგი იქნება)

ქ. რაჭველი.

შურს. ჩვენ თავისუფლების აზრს ვქადაგებთ თავისუფალ შეთანხმებისათვის, თავისუფალ კავშირებისათვის, ერთმანეთის დაახლოვებისათვის და არა მონობა-ბატონობისათვის.

თედო ღლონტი.

ატენის ხეობაში

გორიდან რომ ხიდისთავისკენ წახვიდეთ და მდ. ტანას შეჰყვეთ, ატანის ხეობაში ახვალთ. მარჯვენივ მთების კალთებზე ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზაც შესდევს ხე-ტყის გამოსაზიდად. ხეობის ყელს რომ მიადგებით, აგურით ნაშენები კამარა გვიხდებათ. ორივე მხარეს ნაკედლარი ასდევს.

ეს ყოფილა ხეობის კარი ერისთავთაგან აშენებული, რათა ხე-ტყე ვერავის გაეზიდნა. აქედან მარცხნივ მოსჩანს თეთრი დიდი შენობა ქარ. სამ. საზოგადოებისა—ერისთავიანთსული; ამათი ყოფილა მთელი მარცხენა მხარე ტანის ხეობისა ზომით 12000 დესეტინა. შემდეგ, როგორც სჩვევია, ვალში დარჩენია ბანკს; ამ მამულიდან გამოუყვიათ შენობა 32 დესეტინა მამულით და დანარჩენი ვინმე ჰაჯიევისთვის მიუყიდნიათ· ამბობენ, უკანასკნელმა ერთი ორად აინაზღაურა დანახარჯიო. რადგან მგზავრობისთვის გვიან იყო და იმედი მქონდა რომ უსიამოვნო სტუმარი არ ვიქნებოდი, ღამე თავადისეულ სახლში გავათიე.

როგორც წეღან ვთქვი, სახლს და მის გარშემო მამულს ქ. საზ. განაგებს. ამ საზოგადოების მიერ წ.-კ. გ. საზ. სკოლისთვის დათმობილი აქვს რამდენიმე ოთახი. შენობას დასავლეთიდან აქვს ფართო და განიერი მისავალი. წინ და უკან ტერასებია ჩაყოლებული სახლის წინ ეზოს განაპირას გაყოლებით ჩამწკრივებულნი ნათალი ქვის ხვეტები. ჯერ კი ერით არ აკლია, მაგრამ ზოგნი გადაზნექილან და საცაა წაიქცევიან, ეზოში მდგარან ზამთარში მწვანე ხეების ზოგნი მათგანი მოუჭრიათ და წერწეტ ნაძვის ან ფიჭვის მაგიერ უშნო ჯირკვი გამოიყურება, ზოგისთვის კიდევ ტოტები ჩამოუხლეწიათ. ეზო ჩაჰყურებს მდინარის ნაპირას მდებარე ბაღვენახს. იქ მოსჩანს ნათალი ქვის დიდი აუზი. წინად ზემდან მილით წყალი იყო ჩაყვანილი და იქ შადრევნად სჩქეფდა. აუზის გარშემო შემოვლებული ჰქონია ნაძვის ხეები; ზოგი ამათგანიც მოუჭრიათ. ეტყობა მდ. ტანიც გამორჩენას სცდილა და ვენახის კაი ნაწილი ჩამოუგლეჯია. ძველად, როცა მთაში ხე-ტე გაჩეხილი არ ყოფილა, ტანაც ოდნავ მოიკაკვებოდა ხევში აქეთა ნაპირი ხის ფარდული შეერთებული ყოფილა შეერთებული მეორესთან და ამ ხის ფარდულში ,,კნიაზები ქეიფობდნენო“. სახლის ქვეშ დიდი, უშველებელი მარანია, ოჯხიშვილური; ამბობენ, ხუთაისი კოკის ქურჭელი ყრიაო. ათასსაც ადვილად ჩაეტევა. პირველი სართულიც გამართული ყოფილა მოსამსახურეთათვის, სტუმრებისათვის. მეორე სართულში აჰყვებართ ქვის ფართე კიბეს. ავანი ვიწრო და გრძელი — ცხენი გაჰენდებაო. ოთახები, ორი დიდი დარბაზი— სამეჯლისო, აი ახლა იქით მეორე მხარის აივანზე გარვედით დიდ სვეტებზე რომაა დამყარებული. შენობის სიდიდე, გრძნობ რომ ეს არე-მარე ერთს ეკუთვნოდა, თქვენ რაღაც სიდიადეს გდებთ. თვალ შეუყოლებით მოსჩანან ვენახები. მერე რა შრომაა დახარჯული.

თუ ქართლში მიწის სივიწროვეა უპირველესად აქ, ყოველივე მტკაველი მიწისა სისხლის ოფლითაა კლდისგან გამოგლეჯილი, მეორე დღეს მივალ ზემოთ „ბუმბერაზ მთანი მაღალნი ცათამდის აყუდებულნი“, თან და თან ავიწროვებენ ხეობას. ალაგ-ალაგ, სადაც კაცის ვერაგი ხელი ვერ შესწვდენია ფირუზის ფერ კლდეებს ფიჭვ-ნაძვნარი აშუქებს; აქ-იქ მწვერვალები კოშკებით მთავრდება. წყაროები

აქაც, იქ, იმას იქითაც
სადაც ფირცხალა გორია
ლამაზის მთისა ასულთა
ხმა ხმისთვის შეუწონია.

გზიდან სოფელში მოსჩანს პატარა ეკლესია, გეგმის მიხედვით დიდი ხნის უნდა იყვეს. ეკლესიის მარცხნივ ამოთხრილი კლდეა და საცხოვრებელი სახლია მიშენებული; შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს კარ-ფანჯარა კლდეშივე იყვეს გამოღებული. სანახაობა საზღაპროა. რის ბოკლინის სურათები, რის ათას ერთი ღამე. გადაიღეთ ფოტოგრაფიული სურათი, წააწერეთ საუკეთესო მხატვრის სახელი და ყველა დაგიჯერებთ. კიდევ პატარას რომ გაივლი და კლდეთს იქით ტაძრ ყვითელი გუმბათი არღვევს სივრცე ეს ატენის სიამაყე დიდებული სიონი გარშემო ერთგვარი აღუშფოთებელ მდუმარებაა დამყარებული და გიძრავ ფიქრს შორეულზე, შორეულზე.

— „არა სიონო, ვერ გილალატებ სანამდის პირში გვიდგია სული“.

იმეორებთ პოეტთან ერთად. მაგრა ვილაც ბოროტი გაგონებთ—„რა ქართველობა, რის ქართველობა, ნეტა რას გვავნებს უცხო ტომობა“. ყველაფერი გიწვევთ სასიყვარულოდ: კლდეთა ფირუზის ფერი, ლურჯი წყლის ლიკლიკ-ჩხრიალი მლოცავი ფიჭ-ნაძვნარი, ციხე-კოშკები, პატარა ბიჭუნები გუდურებით ზურგზე და დაურღვეველი მყუდროება „სხვა საქართველო სად არის რომელი კუთხე ქვეყნისა“?

და აი ამ საქართველოს 12000 დესეტინა ულამაზესი ნაწილი საჯაროდ გაყიდულა.

ვიარე ბობნევამდის. აქ სწარმოებს ,,ჰაჯიევის ტყეების“ საექსპლოატაციო მუშაობა.

— ეს ხეობა სად გადავა?

— ძავახეთში მომიგო ოსმა.

მე ასე მეგონა რომ ჯავახეთი სადღაც შორს უნდა ყოფილიყო, თურმე ცხვირ-წინა გვქონია. მართლაც ქართველი კაცის ყური სივრცეს ვერ ზომავს, ადიდებს, ქართველი რომ იტყვის, კახეთში ვიყავიო, ისე ამბობს, თითქოს დედა-მიწის გარედ წასულიყვეს. კახელებისთვის ეხლაც კი—იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. ვითომ უყურებთ, რა შორს წასულაო. გურულები რომ (თუმცა უნებლიედ) ირკუტსკ და არხანგელსკს უკეთ იცნობენ, ვიდრე მეზობელ აჭარას.

ატენში დაბრუნებისას ღამდება და მეც ისევ ჩემ მეგობარ ლ. ბ. აქაურ სოფლის მასწავლებელს მივატანე.

ვუზიარებდით ერთმანეთს ნააზრსა და ნაფიქრს.

— ეხლა მე და შენ რომ ერთი ათას ხუთასი თუმანი რომ მოგვცა, იწყებს მასპინძელი,—ამ სახლს და მამულს მგონი ათასად დაგვითმობენ.

— ჰო და ხუთასიც მარნის მოსაწყობად დაგვეპირდებოდა, ევროპიულად.

— მერე ჩვენ ევროპიულად დავაყენებთ, ამით ღირსებას ერთი-ორად ავწევდით და ხეობაც დი ხეირსა ნახავდა, რომ კოოპერატიულ ნიადაგზე მოვაწყობდით?

— რასაკვირველია, რასაკვირველია. ზოგჯერ ოცნებაც უნდა, მაგრამ ეტყობა, ჩვენი სურვილები ისე თალხნად დალივლივებენ, როგორც სამეურნეო საზოგადოების მუშაობა ამ მულსა და სახლ-კარში.

ი. ზერ—ი.

—

ტანის მარცხენა ნაპირის შეულება მამული ეკუთვნის მარ. ვარ. ასულ ჯამ.-ორბელიანისას. ბავშვობაში ქ. გიმნაზიაში ვსწავლობდი. მარიამ ვახ. ასული მაშინაც ამ სკოლის მეცენატი იყო,როცა მოვიდოდა, ყველა დედას ვეძახდით. ხეობაში მოგზაურობის დროს უცებ გავიფიქრე (კაცს ხომ თან დასდევს მაცდური), ვინ იცის, ეს მხარეც ვისმე ჰაჰიევს ჩაუვარდეს...

ი. ზ.

კოოპერატიული მოძრაობა

ხონი. აგერ მეორე წელია, რაც ხონში მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“—არსებობს.

კვირას 22 იანვარს ადგილობრივ საზოგადო თეატრის დარბაზში მოხდა კოოპერატივის არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარედ დასახელებულ იქმნა ალ. მაჭარაძე, რადგან მან უარი განაცხადა შემდეგ არჩეულ იქმნა ათ. ხარაბაძე. კრებაზე განსახილველი იყო ძველი და ახალი გამგეობის მოხსენებანი. პირველად კრებამ მსჯელობა იქონია ძველი გამგეობის ზარალის მიზეზების გამოსარკვევად. სანამ კრებაზე მყოფი პირველი გამგეობის წევრები სიტყვიერ განმარტებას მისცემდენ საზოგადოებას ზემო აღნიშნულ ზარალის შესახებ— ილ. ქუთათელაძემ წაიკითხა კოოპერატივის ძველი გამგის სანადირაძის წერილი. წერილში დაწვრილებით აღნუსხულია ყოველივე მოქმედება გამგეობისა, რომელზედაც ამბობს, რომ გამგეობა როგორჯ საჭირო იყო ის ვერ მუშაობდაო. ეხება რა გამგეობას მასთან ერთად აღნიშნავს თუ რამ გამოიწვია მომხმარებელ საზოგადოების ზარალი, რომელშიდაც უმთავრესს ბრალს სდებს გამგეობის

ულა
ტ“-ი
ოევ-
ორე
ბერ-
ნია-
965
ორ-
452

შტატების მთავრობამ იმედი დაკარგა, რომ ომს თავიდან აიცილებს. ამერიკის გემის „ლაიმან ლაასის“ დაღუპვამ მართალია საქმე გაართულა, მაგრამ ამ ფაქტს მაინც ომის საბაბად არ ჩასთვლიან.

ნიუ-იორკიდან ლონდონს ატყობინებენ: ვაშინგტონში მთავრობის წევრებს აფიქრიანებს მექსიკაში და კუნძულ კუბაზე ბოლო დროს მომხდარი ამბები. მექსიკაში გერმანიის აგენტები

ნეიტრალისტ გერმანელებსა დ
რიქელ პაციფისტების შორის დსა-
ლი ფულია შეგროვილი. ცნობი მან
ლიარდერს, რუსოფონს შიფს, ვი-
გორც გერმანიის ფინანსიურ აგ
უკანასკნელ თვეებში რამდენიმე რის
ლიონი მიუღია ნეიტრალიტეტის ხო-
პაგანდისათვის. გა-

ომი მოსალოდნელი არ არის ჯი- რიკისა და გერმანიის შორ და-

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რე-

წერილის წაკითხვის შემდეგ ლაპარაკობენ თვით გამგეობის წევრები. ყველა მათ სიტყვებიდან სჩანს უბრალო თავის მართლება—ხოლო გასამართლებელი არგუმენტები კი არავის მოეპოვება.

ხოლო ერთმა გამგეობის წევრმა ერი. კიწ—ლმა გულწრფელად აღიარა საზოგადოების წინაშე, რომ ზარალი ნახა საზოგადოებამ, დამნაშავენი არიან გამგეობის წევრები და არა სხვა ვინმეო—ხოლო უმეტესი დანაშაული მიუძღვის რ. წივწივაძესო.

აღსანიშნავია რომ ყველა გამგეობის წევრები ბრალს სდებდნენ რ. წივწივაძეს და სანადირაძეს. რ. წივწივაძის სიტყვებში ვერავითარი გასამართლებელი საბუთი ვერ ვნახეთ— მიუხედავად იმისა რომ ბევრი ილაპარაკა.

დასასრულ ლაპარაკობს ილ. რუხაძე, რომელიც გარკვეულად და კონკრეტიულად ასურათებს გამგეობის მუშაობს და ბოლოს დასძენს, რომ არავითარი საკვირველი არ არის ისა რომ კოოპერატივმა ზარალი ნახაო, რადგან კოოპერატივში შემოდიოდა არა საქონელი არამედ მარტო მშრალი ანგარიშიო. რამოდენიმე ხნის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა—ზარალი რომელიც ნახა კოოპერატივმა სახელდობრ 13000 მ. გადახდეს გამგეობის წევრებს. ასეთი გადაწყვეტილების გამო ერმალო კიწმარაშვილს განცხადება შემოაქვს, რომ გამგეობა საჩივარს აღძრავს საზოგადოების სინდისის წინააღმდეგ— ასეთ გადაწყვეტილების გამო.

შემდეგ კრება იხილავს ახალი გამგეობის ანგარიშს. გამგეობის წევრი ივანე ჭავჭანიძე კითხულობს მოხსენებას მომხარებელ საზოგადოების „იმედის“ გასული წლის ანგარიშის—საიდანაც სჩანს რომ კოოპერატივს წმიდა მოგება დარჩენია 4000 მანეთამდე.—12% მოგებით.

ყოველივე ანგარიში გამგეობისა სწორი აღმოჩნდა სარევიზიო კომისიის ანგარიშთან.

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 15000 მანეთამდის, რომელიც კრებამ დაამტკიცა.

იმ მოგებიდან რომელიც კოოპერატივს დარჩა 900 მანეთი გადაიდო მომავალში კოოპერატივისათვის ასაშენებელ დუქნის ფონდის გასაძლიერებლად. აღსანიშნავია ისა, რომ მომხსენებელი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა კოოპერატივის მოგებას—რაზედაც შენიშვნა მისცა ალ. მაჭარაძემ და განუმარტა საზოგადოებას, რომ კოოპერატივის უმთავრესი მიზანი და იდეა იქით არის, მიმართული, რომ მომხმარებელს მიაწოდოს საქონელი რაც შეიძლება იაფად—და არა იღებდეს ზედმეტ მოგება, როგორც ეს სჩანს კოოპერატივ „იმედში“. საზოგადოება ყურადღებით მოეპყრა ზემო აღნიშნულ სიტყვების მნიშვნელობას და გადასწყვიტა, რომ მოგება არ აღემატებოდეს 10%.

დასასრულ მოხდა გამგეობის წევრის და სარევიზიო კომისიის თითო წევრის ნაცვლად გ. ჭუბაბრიასი (რომელიც აქ არ იმყოფება) არჩევნები.

გამგეობის წევრად დატოვეს ისევ ძველი წევრები, ხოლო ნაცვლად გ. ჭუბაბრიასი აირჩიეს მისი კანდიდატი ქ. უზულავა.

უცნობი.

უკანასკნელი სიტყვა „კახეთი“-ს საზოგადოებაში მომხდარ გაფიუვის შესახებ

4 და 5 თებერვალს მომხდარ საზოგადო კრებაზე დადგენილი იყო: პრესაში ამის შემდეგ მაინც არაფერი იქნას დაწერილი ამ ამბების შესახებაო და გამგეობას ნება არ დართეს რაიმე დაეწერათ. მიუხედავად კრების ასეთი დადგენილებისა გაზ. „საქართველოს“ 10 თებერვლის ნომერში ვილაც „დამსწრე“-მ მოათავსა თავიდან ბოლომდე სიცრუით სავსე წერილი, სადაც განსაკუთრებით მიზანში მე ვარ ამოღებული. თუ ეს „პატიოსანი დამსწრე“ თითონ რ. გაბაშვილი არ არის ყოველ შემთხვევაში მან იცოდა ამ წე-

ზამ თითონ მოისმინა და დაინახა ჩვენი სიმართლე და შეცდომაც, თუ ასეთი იყო. მასთან ნიღაბიან ცილისმწამებელ ვილაც „დამსწრეს“ ასეთი პროვოკაციული წერილის არსებითად შეკამათება საქმის დაწვრილმანებად და თავის დამცირებად მიმაჩნია.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ მე ვიყავი წარმომადგენელი მუშა-მოსამსახურეთა და არა მხოლოდ მოსამსახურეთა. ეს მისსია ასე თუ ისე შევასრულე და თუ როგორ გამოეხმაურებიან თითონ ისინი გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე კიდევ ახალს უსირცხვილო გამოჯირითებას, ეს მათი საქმეა.

სამსონ დადიანი.

—

P. S. გაზ. „საქართველოს“ რედაქციამ და კორესპონდენტის სინიდისმა აიტანოს შემდეგი „დანოსი“: „ნათლად გამოირკვა, რომ **მხოლოდ ორიოდე პირის ჟინიანობით იყო გამოწვეული მოსამსახურეთა გაფიცვა. დამტკიცდა, რომ ბ-ნნი ე. ავალიშვილი და ს. დადიანი არა მარტო აქეზებდნენ და ძალას ატანდნენ დანარჩენ მოსამსახურეთ**“. ფართო საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სამწუხარო მოვლენას, რომ გაზ. „საქართველოს“ **მაბეზღრობა და „დანოსი“** სიმართლის გამოსარკვევ იარაღად გამოაქვს. ეს საშინელი ნიმუშია პრესის გათახსირებისა.

ს. დ.

რუსეთის ამბები

— ჟურნალისტ ამფითეატროვს მთავრობამ წინადადება მისცა: სამი დღის განმავლობაში პეტროგრადიდან მინსკში გადასახლდიო.

— პეტროგრადის ფოსტაში მოსპეს თითქმის ექვსი ათასი წერილი, რომელიც მომქმედ ჯარში იყო გასაგზავნი. ახალი განკარგულებით მომქმედ ჯარში გასაგზავნ წერილებს შაური მასალები უნდა დაეკრას, ხალხი კი ისევ უმარკოდ ჰგზავნის წერილებს.

— შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება კრებათა აკრძალვის შესახებ შეეხება მომხმარებელ საზოგადოებათა და კოოპერატივების კრებებსაც.

— პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებში ყველივრის დროს მხოლოდ ერთი დღით უნდა შესწყდეს მუშაობა.

— სენატმა განმარტა: ქალებს ომის განმავლობაში უფლება აქვთ ნოტარიუსობა გასწიონ, მხოლოდ ნება არ ექნებათ უფროსი ნოტარიუსობა გასწიონო.

— „რუსსკაია ვოლიას“ სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს, გერმანიის მსგავსად რუსეთში საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღოს.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. ,,606“ და ,,914“
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ა. ნავასარდიანი.
1057

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)
ტფილისიდან გადის:
ს. წ.

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 „	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34	საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24	„

ვიყიდი მიწას
ბათომ-გაგრი-ბორჯომის რაიონში, დამუშავებულს თუ დაუმუშავებელს. წინადადება წერილობით ან სიტყვიერად 9—1 საათამდე, ტფილისი, ორთაჭალა, ვორონცოვის ქ. № 47, წითელი-ჯვრის საერთო ბინა. სალტუპი.
160

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“; ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“; ექ. თაყაიშვილი—„ხელთნაწერების მიმოხილვა“; ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“; გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“; დ. უზნაძის—„პოეტის სული“.
გარდა ამისა თითოეულს ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიული ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტის სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, ბ. ჟურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
წიგნი გამოვა 1917 წლის აპრილში
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, იას. ბაქრაძესთან, პ. ყიფიანთან, ბათომში სიმ. მდივანთან და კოტე კობახიძესთან, ფოთში ლ. ჯაფარიძესთან და ალ. მდივანთან, სამტრედიაში ის. სტურუასთან, ხონში მოს. ჭელიძესთან, სოხუმში პლ. გელოვანთან, ოზურგეთში ალ. მხეიძესთან, ჭიათურაში თ. ჯაფარიძესთან, საჩხერეში ანეტა იურკევიჩთან, ზუგდიდში მიხ. მდივანთან, თელავში ივ. პაატაშვილთან, ბაქოში ილია აგლაძესთან, გორში სიმონ მაჭავარიანთან.
ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი „სახალხო ფურცელი“. 1419

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო-სათეატრო
ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ № 7, შინაარსი:
(წელიწადი მეხუთე).
იოსებ არიმათიელი—შალვა დადიანი, ს. ერთაწმინდელი—პაწია ქნათი, ივ. გომართელი—ახალი პოეზია, გ. ქურიშვილი—გურიისაკენ მგზავრული, დავ. მესხი—ახირებული დღიური, ჰაზირა—ქართველ მაჰმადიანთა შესახებ (რედაქციისაგან), ჩემი უბის წიგნი, იზიძე—დაკარგულ შვილს, მიხ. ბოჭორიშვილი—ვნების ბრჭყალებში (მეორე მოქმ. იაგ. ყურკაციშვილი—ვაჟკაცის სიკვდილი (ხალხური), იპო ჯინორიძე—ტბის ასული, კირ. მაჭარაძე—ხარხარი, მახვილი—შერადა, წვრილი ამბები, სურათები, განცხადებანი.
ფასი წლიურად ორი პრემიით 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., თითო 15 კ. მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა: ტფილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძ, № 1) მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“. Іосифу Имедашвили.
184

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიები. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1035

სუსუნატით (ჭინჭრიანა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაშმისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ბინ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд.-1—1. на противъ Государственнаго Банка.

Дозволено военной цензурою
სტამბა „ქართლი“ ვ. ი. ცაციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა